ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School
Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

2024

შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში

შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში

2024

დოკუმენტი მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს, თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH): www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT ქსელი - SOS-წამება): www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი: www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC): www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, მე-3 სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა: www.humanrights.ge
ვებ-საიტი: www.hrc.ge

ანგარიში დაიბეჭდა სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი	5
მეთოდოლოგია	6
1. 2024 წელს გამართულ აქციებზე დაკვირვების შედეგები,	7
გამოკვეთილი ტენდენციები და უფლებადარღვევები.	
1.2 დისკრიმინაციის აკრძალვა და შეკრება-მანიფესტაციის	8
უფლების შეზღუდვის საფუძვლები	
1.3 აქციის ორგანიზატორების, სამოქალაქო აქტივისტების	10
დევნისა და დისკრედიტაციის ორგანიზებული კამპანია	
1.4 რუსული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს	12
დაკავებულ პირთა მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი	
მოპყრობის და წამების ფაქტები	
2. საპროტესტო აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლის	15
სტანდარტები	
30 აპრილი - 1 მაისი: „კი ევროპას! არა რუსულ კანონს!“	19
3. სპონტანური შეკრების უფლება და ტრანსპორტის სავალი	
ნაწილის გადაკეტვის კანონიერება	
დასკვნა	24
რეკომენდაციები	25

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში ასახულია თბილისში პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო მოძრაობების და აქტივისტების მიერ ორგანიზებული, ასევე - სპონტანური შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები. პროექტით - „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის გუნდი 2024 წლის იანვრიდან დეკემბრამდე პერიოდში დააკვირდა 15 აქციას,[1] რომელთაგან 8 უკავშირდებოდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის (შემდგომში - რუსული კანონი) მიმართ საზოგადოების პროტესტს. სწორედ ამ კანონის ხელახალ ინიცირებას[2] მოჰყვა ფართომასშტაბიანი და უწყვეტი საპროტესტო აქციები, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მისი განხილვის დაწყების დღიდან.[3] აქციების უმეტესი ნაწილი სპონტანური ხასიათის იყო და მათ შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა სოციალური ქსელის საშუალებით.

ანგარიშის მიზანია მიმოიხილოს საქართველოში შეკრების თავისუფლების სარგებლობისას გამოვლენილი დარღვევები, შეაფასოს ისინი სამართლებრივად და გააანალიზოს გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ასევე, შეიმუშავა რეკომენდაციები ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსადმი, რომელთა შესრულებაც აუცილებელია მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მრავალი ფაქტი, რომელთა შორისაა: აქციის მონაწილეთა მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება ლეგიტიმური მიზნის, კანონით განსაზღვრული საფუძვლისა და დადგენილი წესების დაცვის გარეშე, პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება, უკანონო ადმინისტრაციული დაკავებები და დაკავებული პირების უფლებების უგულებელყოფა, მათ შორის - წამების ანდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები; ამასთან, თვალსაჩინო იყო ფასილიტაციის პროცესში პოლიციელების არაპროპორციული რაოდენობის და არაიდენტიფიცირებული სამართალდამცავების მობილიზების ტენდენცია და, რიგ შემთხვევებში, შსს-ს წარმომადგენელთა მხრიდან სიტყვიერი მუქარა ანდა შეურაცხყოფა აქციის მონაწილეთა მიმართ.

---

[1] *1) იმმა ინაშვილის აქცია ხუსთაველის ძეგლთან (11 იანვარი, 2024); 2) „მაჩში გამოსახლების წინააღმდეგ“ (4 თებერვალი 2024); 3) „შენ ეს შეძელი!“ (8 მარტი 2024); 4) „მაჩში საცხოვრებელი ყველას!“ (7 აპრილი); 5) „არა ხუსულ კანონს!“ (8 აპრილი 2024); 6) „კი ევრპას! არა ხუსულ კანონს!“ (9 აპრილი); 7) „კი ევროპას! არა ხუსულ კანონს!“ (15 აპრილი); 8) „არა ხუსულ კანონს!“ (16–17 აპრილი); 9 „არა ხუსულ კანონს!“ (29 აპრილი.);10) „არა ხუსულ კანონს!“ (30 აპრილი); 11) „კი ევროპას! არა ხუსულ კანონს!“ (1–2 მაისი.); 12) „გავათენოთ საქართველოსთვის!“ (12 მაისი); 13) „საქართველო არასდროს მოიხდის ბოდიშს!“ (13 სექტემბერი); 14) „საქართველო ირჩევს ევროპას“ (20 ოქტომბერი, 2024); 15) საქართველოს პრეზიდენტისა და ოპოზიციური პარტიების მიერ დაორგანიზებული აქცია (28 ოქტომბერი, 2024).*

[2] *ტელეკომპანის „მთავარი არხი“, „ოცნება“ პარლამენტში „ხუსულ კანონს“ ხელახლა აინიციერებს. 03.04.2024. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XGSwXf [26.09.2024]; იხ. ასევე: ინტერნეტგამოცემა „on.ge“, პარლამენტში ხუსული კანონი დარეგისტრირდა, 08.04.2024 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45MdyWu [26.09.2024].*

[3] *ინტერნეტ გამოცემა „ტაბულა“, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ხუსულ კანონს 15 აპრილს განიხილავს. 08.04.2024, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/716614-iuridiul-sakitkhta-komiteti-rusul-kanons-15 [21.10.2024].*

მეთოდოლოგია

შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგში მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 2 მონიტორი, რომლებიც დაკვირვების შედეგების საფუძველზე ამზადებდნენ მონიტორების ანგარიშებს. განვითარებული მოვლენების დოკუმენტირებისთვის თითოეული აქციის ანგარიშს თან ერთვოდა ფაქტების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა. 2024 წელს ორგანიზაციამ მოამზადა მონიტორინგის ერთი შუალედური და სამი მოკლე ანგარიში.[5]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ ქალაქ თბილისში, უშუალოდ მათი მსვლელობის ადგილებზე. დაანონსებული აქციების დროისა და ადგილის შესახებ მონიტორები ინფორმაციას იღებდნენ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან - Facebook-იდან, სადაც აქციების ორგანიზატორები წინასწარ აქვეყნებდნენ ინფორმაციას.

მონიტორინგის მიგნებების გარდა, ანგარიშში გამოყენებულია ღია წყაროებში ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში ჩაწერა 9 ინტერვიუ აქციების ორგანიზატორებთან და აქტიურ მონაწილეებთან, რომელთა შორისაც იყვნენ პოლიტიკური პარტიების წევრები, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები. ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

წინამდებარე ანგარიში ასახავს აქციების მონიტორინგის მთავარ მიგნებებსა და იდენტიფიცირებულ უფლებადარღვევებს. მისი მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში შეკრების თავისუფლების დაცვის ხარისხთან დაკავშირებით და შეაფასოს არსებული პრაქტიკის თავსებადობა როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

---

[1] *ადამიანის უფლებათა ცენტრი, აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში,13.09.2024 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/677/geo/ [26.09.2024].*

[2] *ადამიანის უფლებათა ცენტრი, 15-17 აპრილის საპროტესტო აქციების მონიტორინგის მოკლე ანგარიში, 19.04.2024. ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/640/geo/ [26.09.2024].*

1. 2024 წელს გამართულ აქციებზე დაკვირვების შედეგები, გამოკვეთილი ტენდენციები და უფლებადარღვევები

2024 წელს, პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა მონიტორები დააკვირდნენ 15 აქციას, რომელთა უმრავლესობა პოლიტიკურ შინაარსს ატარებდა და მათი ადრესატი საქართველოს აღმასრულებელი ანდა საკანონმდებლო ხელისუფლება იყო. გარდა ამისა, დაკვირვების ქვეშ მოექცა მცირემასშტაბიანი და სოციალური შინაარსის მქონე აქციები. მათგან განსხვავებით, ფართომასშტაბიანი აქციების შემთხვევაში თვალშისაცემი იყო შეკრებების მართვა–ფასილიტაციისათვის დადგენილი სტანდარტების უგულვებელყოფა, სამართალდამცავთა ქცევა ხშირად იყო არაპროგნოზირებადი და არ იყო აქციებზე განვითარებული მოვლენების პროპორციული, რაც ზოგჯერ მოვლენების ესკალაციის წინაპირობა ხდებოდა. ასეთ ფაქტებს განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს. გარდა ამისა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ აქციებზე პოლიციის გადაჭარბებულად დიდი ოდენობის მობილიზება, აქციის ფასილიტაციის, ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საჭიროებიდან არ გამომდინარეობდა. ამისგან განსხვავებით, სამართალდამცავთა დამოკიდებულება ფუნდამენტურად განსხვავდებოდა აპოლიტიკური და მცირემასშტაბიანი აქციების მიმართ. ის ძირითადად მიმართული იყო შეკრება–მანიფესტაციის და გამოხატვის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობისკენ, პოლიციის ქმედებებში შეინიშნებოდა აქციის ორგანიზატორებთან ფასილიტაციის დადებითი ტენდენცია.

ამის მაგალითად განვიხილავთ სოციალური შინაარსის მქონე 2 საპროტესტო აქციას, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ – „მარში სტუდენტური საცხოვრებლისთვის“[6] და „მარში გამოსახლების წინააღმდეგ“.[7] ორივე შეკრებაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა სამართალდამცავების მხრიდან აქციის ფასილიტაციის და ორგანიზატორებთან თანამშრომლობის დადებითი ტენდენცია, რაც ასევე გამოიხატა მარშის დროს დემონსტრანტებისათვის ორგანიზებული მსვლელობის ხელშეწყობაში. ორივე შემთხვევაში, თავდაპირველ ლოკაციაზე შეკრებილმა მოქალაქეებმა აქცია მსვლელობით გააგრძელეს. ამ დროს პოლიციის წარმომადგენლებს ჰქონდათ კომუნიკაცია აქციის მონაწილეებთან და ცდილობდნენ მანიფესტაციისთვის მიეცათ ისეთი გეზი, რომელიც არ შეზღუდავდა მონაწილეთა შეკრების თავისუფლებას და, ამავდროუალად, არ დაზიანდებოდა საჯარო წესრიგი. აქციის მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, მანიფესტაციის დროს არ იყო აუცილებელი საავტომობილო მოძრაობის სრულად გადაკეტვა, მაგრამ აქციის ორგანიზატორებსა და სამართალდამცავებს შორის გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, საპატრულო პოლიციამ მსვლელობისთვის მარშის მონაწილეებს გამოუყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოლი, რიგ შემთხვევაში კი სრულად შეაჩერა საავტომობილო მოძრაობა.

ზემოაღნიშნული საპროტესტო აქციებისგან განსხვავებით, აპრილისა და მაისის თვეებში გამართული აქციების დროს, მათი მასშტაბიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში საჭირო იყო რუსთაველის გამზირის სრულად გადაკეტვა. მაგალითად, 24 აპრილს რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის დროს,[8] პარლამენტის შენობის წინ, დაახლოებით 2000–მა აქციის მონაწილემ გადაკეტა ტრანსპორტის სავალი ნაწილი.

---

[1] *ინტერნეტ გამოცემა „პუბლიკა“ 07.04.2024. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1652866665247525. [26.09.2024].*

[2] *ინტერნეტ გამოცემა „მაუწყებელი“ 04.02.2024. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=SGU3oIl7aVU [26.09.2024].*

[3] *რადიო თავისუფლება, აქციის მონაწილეებმა პარლამენტთან გზა გადაკეტეს და ევროპის მოედნისკენ დაიძრნენ. 24.04.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32919307.html [26.09.2024].*

ნაწილი. ამ მომენტისთვის ადგილზე მობილიზებულნი იყვნენ სამართალდამცავები, მათ არ გაუჟღერებიათ რაიმე სახის გაფრთხილება შეკრება–მანიფესტაციის და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, აქციის მონაწილეებმა პოლიციელთა მეთვალყურეობის ქვეშ დაიკავეს საავტომობილო გზა. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სატელევიზიო ეთერში იდენტიფიცირებულ აქციის მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა მიიღო უწყება მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყების შესახებ შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზების და ჩატარების წესის[9] დარღვევის საფუძვლით. ამ შემთხვევაში შეკრების მონაწილეებს არ ჰქონდათ წინასწარ განზრახული ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა და მხოლოდ მას შემდეგ გადაინაცვლეს გზაზე, როცა შეკრებილი მოქალაქეების რაოდენობა აღარ იძლეოდა პროტესტის გაგრძელების საშუალებას ტროტუარზე დარჩენით.

რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული აქციის მონაწილეთა მიმართ ასკ 174 პრიმა მუხლის გამოყენება სიახლეს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ ნორმის გამოყენება წინა წლებში სხვა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ არ მოხდარა, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის სხვა სანქციებთან ერთობლიობაში, რეპრესიულ და სადამსჯელო ინტრუმენტს წარმოადგენდა აპრილსა და მაისში გამართული აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. ყოველივე ამას კი შესაძლოა მომავალში მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს შეკრებისა და გამოხატვის უფლების რეალიზაციის კუთხით. [10]

1.2 დისკრიმინაციის აკრძალვა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის[11] მე-3 ნაწილის თანახმად, შეკრების უფლების შეზღუდვა უნდა იყოს: კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ მიმართული; კანონით გათვალისწინებული; დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი; არადისკრიმინაციული; პროპორციულად შემზღუდველი; ისეთი, რომ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა, ან ხელისუფლების გადადგომასთან დაკავშირებული მოწოდებები შეკრების თავისუფლებით დაცულ სფეროში ექცევა და შესაბამისად, არ უნდა აიკრძალოს.[12] პოლიტიკური შინაარსის შეკრების დაცულობის მაღალი ხარისხი ხაზგასმულია ეუთოსა და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპებში[13] და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში,[14] რომელთა თანახმადაც გაუმართლებელია ხელისუფლების მიერ შეკრების ან მანიფესტაციის აკრძალვა, იმ მიზეზით, რომ მისი გზავნილი არ არის მისაღები.

---

[9] *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1741 მუხლი.*

[10] *რადიო თავისუფლება, „აგენტების კანონის“ საწინააღმდეგო აქციის რამდენიმე მონაწილე სასამართლომ 500-500 ლარით დააჯარიმა. 20.05.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32955283.html [21.10.2024].*

[11] *„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი.*

[12] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. II-106.*

მშვიდობიანი შეკრების უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცეს და უზრუნველყოს მისი განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე.[15] ეს მოთხოვნა, ასევე, გულისხმობს, შეკრებები ჩატარდეს დაუსაბუთებელი ჩარევის გარეშე, რა დროსაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უფლების განხორციელებას და დაიცვას მონაწილეები მიუხედავად აქციის შინაარსისა. ამ უფლებაში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა უნდა იყოს შინაარსობრივად ნეიტრალური და, შესაბამისად, არ უნდა იყოს დაკავშირებული შეკრების დროს გაჟღერებულ გზავნილთან. უფრო კონკრეტულად, უფლების შეზღუდვა არ შეიძლება იყოს გამოყენებული ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური იდეების ჩახშობის ცალსახა ან ირიბ ინსტრუმენტად.[16] ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, წინა წლების მსგავსად,[17] 2024 წელსაც, ერთგვარ ტენდენციას წარმოადგენდა პოლიციის აგრესიული და ძალადობრივი დამოკიდებულება ხელისუფლების საწინააღმდეგო ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებზე, მაშინ, როცა შედარებით მცირე აქციების დროს, პოლიცია მომართული იყო აქციის ორგანიზატორებთან თანამშრომლობისკენ.

აღნიშნულ ტენდენციაზე მიუთითებენ პროექტის ფარგლებში ჩაწერილი ინტერვიუების რესპოდენტები. ყველა მათგანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოლიციელთა რაოდენობა და დამოკიდებულება ყოველთვის განსხვავებული იყო პოლიტიკური შინაარსის აქციების მიმართ. რესპოდენტები მთავარ კითხვაზე – „რამდენად დაცულია საქართველოში შეკრების თავისუფლება“ აღნიშნავენ, რომ „შეკრების თავისუფლების სარგებლობის მხრივ არსებობს წინააღმდეგობები და დაბრკოლებები სახელმწიფოს მხრიდან, როდესაც საქმე ეხება აქციის შინაარსს, ადგილის შერჩევას და საჭირო ინფრასტრუქტურის გამოყენებას.“

---

[13] *ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეოთხე გამოცემა, 2010, პარ. 94.*

იხ. მაგალითად, Alekseyev and Others v. Russia, nos. 14988/09 and 50 others, 27 November 2018.

[14] *ადამიანის უფლებათა ცენტრი, აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/677/geo/ [26.09.2024].*

UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (Article 21), 2020, paras. 44-45.

[15] *ადამიანის უფლებათა ცენტრი,. აქციების მონიტორინგისშემაჯამებელი ანგარიში, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/587/geo/ [26.09.2024].*

[16] *UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (Article 21), 2020, paras. 44-45.*

[17] *ადამიანის უფლებათა ცენტრი,. აქციების მონიტორინგისშემაჯამებელი ანგარიში, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/587/geo/ [26.09.2024].*

1.3. აქციის ორგანიზატორების, სამოქალაქო აქტივისტების დევნისა და დისკრედიტაციის ორგანიზებული კამპანია

რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების პარალელურად ერთ–ერთ მნიშვნელოვან ტენდენციად გამოიკვეთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დევნის, ფიზიკური ძალადობისა და დაშინების კამპანია სამოქალაქო აქტივისტების, აქციის მონაწილეების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და უფლებადამცველების მიმართ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მოსაზრებით, ამის მიზანი საზოგადოებაში შიშის დამკვიდრება, საპროტესტო მუხტის განელება და სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაცია იყო. ამ მიზნით შექმნილი ძალადობრივი ჯგუფები თავს ესხმოდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ: მოქალაქეებს, პოლიტიკოსებს, სამოქალაქო აქტივისტებს, რომლებიც რუსული კანონის წინააღმდეგ აქტიურობით გამოირჩეოდნენ.[19]

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ზოგიერთი ფაქტი უშუალოდ თან სდევდა ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებებს. მაგალითად, 11 ივნისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, სადაც მან სამოქალაქო აქტივისტს, ზუკა ბერძენიშვილს პარლამენტის წევრების მიმართ განხორციელებულ მუქარაში დასდო ბრალი. განცხადებიდან დაახლოებით ერთ საათში, ზუკა ბერძენიშვილს მის საცხოვრებელ სახლთან თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა სამი ადამიანი.[20]

გარდა ფიზიკური ანგარისწორების ათობით ფაქტისა, ორგანიზებულმა ჯგუფებმა, აქციის მონაწილეთა დაშინების მიზნით, კოორდინირებული სატელეფონო მუქარის კამპანია აწარმოეს.[21] აქციების მიმდინარეობის პარალელურად, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრებს, აქტივისტებს, ჟურნალისტებს, უბრალოდ სოციალურ სივრცეში აქტიურ ადამიანებს და მათი ოჯახის წევრებს (მათ შორის, არასრულწლოვნებს) პირადი ტელეფონების ნომრებზე ურეკავდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და აქციებში მონაწილეობის გაგრძელების შემთხვევაში, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. რამდენიმე შემთხვევაში, დააზიანეს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების ან მათი ოჯახის წევრების საკუთრებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებები, შეურაცხმყოფელი წარწერებით, პლაკატებით და სტენსილებით ააჭრელეს ოფისების და ორგანიზაციების ხელმძღვანელების საცხოვრებელი სახლების და ჭიშკრების ფასადები.[22]

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 31 მაისს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის წევრის დიმიტრი სამხარაძის საჯარო ფეისბუქ პოსტი, რომელსაც თან ახლავს ვიდეო.

---

[18] *ტელეკომპანია „მთავარი არხი“, ხელისუფლების მუქარის კამპანია ზარები უცხოური ნომრებიდან და ღია ფსიქოლოგიური ტერორი პოლიტიკოსების და აქტივისტების მისამართით, 07.05.2024. ხელმისაწვდომია: https://bitly.cx/YS5 [26.09.2024]; ინტერნეტგამოცემა „საქართველოს ამბები“, ხუსული კანონის მოწინააღმდეგეებს უცხო ნომრებიდან ურეკავენ, აგინებენ და ემუქრებიან, 07.05.2024. ხელმისაწვდომია: https://bitly.cx/9uH2 [26.09.2024]; რადიო „თავისუფლება“, ზარი 11 წლის ლიდესთან, 16 წლის კესოსთან, 13 წლის გოგოსთან, 10 წლის ბიჭთან - რატომ ურეკავენ ბავშვებთან?, 2024 წლის 10 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/რატომ-ურეკავენ-ბავშვებთან/32941355.html [26.09.2024]*

[19] *ტელეკომპანია „ფორმულა“ „მასწავლებელ ლადო აფხაზავას თავს დაესხნენ“, 05.05.2024. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/110677 [26.09.2024] რადიო თავისუფლება: „თავს დაესხნენ აგენტების კანონის კიდევ ერთ მოწინააღმდეგეს – გია ჯაფარიძეს. 08.05.2024, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32938659.html [26.09.2024] რადიო თავისუფლება: „ქუჩაში სცემეს აგენტების კანონის მიწინააღმდეგე აქტივისტს. 08.05. 2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32938651.html [26.09.2024] რადიო თავისუფლება: ნაციონალური მოძრაობის წევრს სახლთან თავს დაესხნენ. 08.05.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32938613.html [26.09.2024] ინტერნეტ გამოცემა ნეტგაზეთი “თავს დაესხნენ გიორგის წევრ ბოხის (ჩელე) ყუჩუას და ახალის წევრ ნოდარ ჩაჩანიძეს” 09.05.2024, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/721828/ [26.09.2024].*

დეპუტატის განცხადებაში იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ჩამონათვალია, რომელთა შენობების შესასვლელებთან შეურაცხმყოფელი წარწერები და ფოტოებია გაკეთებული. 95 დეპუტატი სამხარაძე რუსული კანონის მოწინააღმდეგეებს „უსამშობლო აგენტებს“ უწოდებს. დეპუტატი პოსტში პირდაპირ ამბობს, რომ მათ „სათანადო პასუხი გაეცათ“.

სავარაუდოდ ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების მიუხედავად, დღევანდელი მონაცემებით, ამ ფაქტებთან დაკავშირებული, ძალადობაში მონაწილე პირების იდენტიფიცირება, დაკავება და პასუხისგებაში მიცემა არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პირის იდენტიფიცირება თავად თვითმხილველების დახმარებით იყო შესაძლებელი.[25] გარდა ამისა, პოლიტიკური თანამდებობის პირების ირიბი განცხადებები, მოძალადეებს სავარაუდოდ უქმნიდა დაუსჯელობის განცდას, რასაც შესაძლოა მომავალში ძალადობის ახალი შემთხვევები მოჰყვეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სამოქალაქო აქტივისტების, აქციის მონაწილე მოქალაქეების, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისა და უფლებადამცველების მიმართ, დევნის, ფიზიკური ძალადობისა და დაშინების კამპანიას შესაძლოა ჰქონდეს „მსუსხავი ეფექტი“ მშვიდობიანი შეკრების და გამოხატვის უფლების რეალიზებაზე.

---

[20] *ინტერნეტ გამოცემა „interpressnews.ge“: „სამოქალაქო აქტივისტი, ზუკა ბერძენიშვილი სცემეს“, 11.06.2024. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/802834-samokalako-aktivisti- zuka-berzenishvili-scemes/ [26.09.2024].*

[21] *ინტერნეტ გამოცემა „ნეტგაზეთი“: “მუქახის შემცველი ზარები ანტიხუსული პროტესტის მონაწილეთა ოჯახის წევრებთანაც ხორციელდება” 08.05.2024 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/721550/ [26.09.2024].*

[22] *ინტერნეტ გამოცემა „ნეტგაზეთი“: „ნინო ზურაბაშვილის მანქანა დააზიანეს და სახლის ფასადზე გააკრეს სიძულვილის პლაკატები“ 10.05.2024 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/721899/ [26.09.2024] https://www.omct.org/en/resources/statements/georgia-serious-deterioration-of-the-situation-of-human-rights-defenders 26.06.2024*

[23] *ინტერნეტ გამოცემა „ნეტგაზეთი“: “დეპუტატი სამხარაძე აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ორგანიზატორია” ხელმისაწვდომია: 31.05.2024 https://netgazeti.ge/life/724973/ [26.09.2024].*

[24] *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი.*

[25] *ინტერნეტ გამოცემა „publika.ge“: “რას ყვება თვითმხილველი გმირთა მოედანზე მომხდარ თავდასხმაზე” 03.05.2024 ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ras-yveba-tvitmkhilveli-gmirta-moedanze-momkhdar-tavdaskhmaze/ [26.09.2024].*

1.4. რუსული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს დაკავებულ პირთა მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის და წამების ფაქტები

საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგების მიხედვით, ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემად აქციის მართვა-ფასილიტაციის პროცესში ჩართული სამართალდამცავების ორგანიზაციული მოდელი გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის გარდა, რუსული კანონის წინააღმდეგ გამართულ აქციებზე მობილიზებულნი იყვნენ არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის, არამედ შსს-ს სხვა დანაყოფების წარმომადგენლებიც, მათ შორის: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, მართლწესრიგის ოფიცრები, კრიმინალური პოლიცია და ზოგ შემთხვევაში - არაიდენტიფიცირებადი პირები, რომლებიც, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ანგარიშებიდან იკვეთება, შსს-ს ქვედანაყოფებთან აქტიურ კომუნიკაციაში იყვნენ, ამასთან, იღებდნენ აქციის მონაწილეთა ფოტოებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები. გარდა შეკრების დასაშლელად გამოყენებული არაპროპორციული ძალის და შეკრების მონაწილეთა დევნის ოპერაციებისა,[26] განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა აქციის მონაწილეთა მიმართ დაკავების პროცესში, ანდა დაკავების შემდეგ, იზოლატორში გადაყვანისას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები, რაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა უთანაბრდებოდეს წამებას.[27] რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული აქციების დროს ამგვარი მოპრყობის მსხვერპლნი გახდნენ როგორც სამოქალაქო აქტივისტები, ისე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

ანტისაოკუპაციო მოძრაობის - „ძალა ერთობაშია“ დამფუძნებელი, დავით ქაცარავა, 14 მაისს პარლამენტის შენობის წინ დააკავეს. დაკავებამდე ის სიტყვით მიმართავდა შეკრებილ სამართალდამცავებს, რა დროსაც მისკენ დაიძრნენ ნიღბიანი სპეცრაზმელები, ყოველგვარი შემხვედრი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დააკავეს და წაიყვანეს დაკავების მანქანისკენ. მოგვიანებით კი მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით ქაცარავა სასტიკად იყო ნაცემი თავისა და სახის არეში. ის გადაიყვანეს კლინიკაში, სადაც ჩაუტარდა რამდენიმე ოპერაცია. როგორც აქტივისტი აცხადებს, მას შემდეგ, რაც ის დააკავეს, ხელბორკილებით შეუკრეს ხელები, მოაქციეს წრეში და დაიწყეს მისი ცემა, რაც რამდენჯერმე განმეორდა. ცემის შემდეგ მას უღებდნენ ვიდეოს და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

დაკავების დროს, ასევე, სასტიკად სცემეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს - ლევან ხაბეიშვილს,[28] და პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარეს - ალეკო ელისაშვილს.[29] ორივე შემთხვევაში იკვეთება დაკავების პროცესში ძალის გადამეტებისა და არაადამიანური მოპყრობის ნიშნები. ამ შემთხვევებთან დაკავშირებით საქმეს იძიებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ძალადობით სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით.[30]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო“.[31]

---

[26] *ადამიანის უფლებათა ცენტრი, 15-17 აპრილის საპროტესტო აქციების მონიტორინგის მოკლე ანგარიში, 2024 წლის 29 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cJ5Oqr [26.09.2024]*

[27] *უფლებადამცველი ორგანიზაციების საერთო განცხადება 30 აპრილის და 1 მაისის მშვიდობიანი მანიფესტანტების დარბევის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/641/geo/ [26.09.2024] ადამიანის უფლებათა ცენტრი; მონიტორინგის მოკლე ანგარიში საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით. 03.10.2024 https://www.hrc.ge/681/geo/ [17.10.2024]*

[28] *„ერიო თავისუფლება:“ ლევან ხაბეიშვილი სასტიკად სცემეს. ხელმისაწვდომია: http://surl.li/bwxvkz [26.09.2024]*

[29] *„ერიო თავისუფლება“: ელისაშვილი ამბობს, რომ პოლიციელებმა „გამეტებით სცემეს“, 2024 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32910513.html [26.09.2024]*

[30] *„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 333–ე“.*

კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას.[32] საქართველოს კონსტიტუციის ეს ნორმა სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის[33] აკრძალვის შინაარსთან. საერთაშორისო სამართლის თანახმად, წამების აკრძალვა არის აბსოლუტური უფლება, რომლისგან გადახვევა დაუშვებელია მაშინაც კი, როცა საპროტესტო აქცია მშვიდობიან ხასიათს კარგავს. [34]

გარდა ამისა, თანამედროვე სამართლის მიზნებისთვის, წამება არ უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც კონკრეტული ადამიანის ქმედება სხვა პირთა მიმართ ანგარიშსწორების, ინფორმაციის მიღების ან აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით. „მისი გამოყენება შესაძლოა მოხდეს სხვა, უფრო მასშტაბური მიზენებისთვისაც, როგორიცაა, მაგალითად, საზოგადოებაში შიშის დანერგვა,[35] რაც შეიძლება მიღწეულ იქნას მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედებებით, წამების ფაქტებით. აქედან გამომდინარე, ის, რაც ადრე მიჩნეული იყო მხოლოდ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად, ახლა შესაძლოა შეფასდეს, როგორც წამება“.[36]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მოპყრობა ექცევა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მაშინ, როდესაც იგი *„სისასტიკის მინიმალუხ ზღვახს ცდება და იწვევს სხეულის ხეალუხ დაზიანებას, ან ძლიეხ ფიზიკუხ, ან ფსიქიკუხ ტანჯვას, ხოღო ხოდესაც მოპყხობა შეუხაცხყოფს ან ამცირებს პიხს, გამოხატავს ხა პატივისცემის ნაკლებობას ან აკნინებს მის ღიხსებას ან აღძხავს მასში შიშს, ტანჯვისა და ახასხულფასოვნების ისეთი ხახისხის განცდას, ხომელსაც შეუძლია მისი მოხალუხი თუ ფიზიკუხი გამძლეობის გატეხვა, აღნიშნული უნდა შეფასდეს ხოგოხც დამამცირებელი მოპყხობა .”* [37]

მოპყრობის სიმძიმის ხარისხის შეფასებისთვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოპყრობის შინაარსზე, ფორმაზე, ხანგრძლივობაზე, ფიზიკურ და სულიერ ზიანზე, ზოგჯერ კი სქესზე, ასაკზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს არამარტო ობიექტური გარემოებები, არამედ სუბიექტური შეფასება მსხვერპლის მხრიდან, ისევე, როგორც საზოგადოების დამოკიდებულება და ტოლერანტობის ხარისხი ამა თუ იმ აქტის მიმართ. შესაბამისად, ჩვენს მიერ მოყვანილ სამივე შემთხვევაში დაზარალებულების წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის მიზანი, ინტენსივობა და ხანგრძლივობა სავარაუდოდ უტოლდება არაადამიანურ მოყრობას, ან წამებას, რისი დადგენაც ობიექტური გამოძიების პრეროგატივაა.

გარდა მედიაში აქტიურად გაშუქებული ამ 3 შემთხვევვისა, სამართალდამცავების მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენების, ფიზიკური ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის უამრავი ფაქტი მოექცა საქართველოს სახალხო დამცველის[38] და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების განცხადებებში, [39] მათ შორის ნახსენებია სპეციალური საშუალებების ფორმად სავარაუდო აკრძალული არალეტალური იარაღიდან თურქული წარმოების რეზინის ტყვიების გამოყენება. [40]

---

[31] *„საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი“.*
[32] *იქვე, მეოთხე პუნქტი.*
[33] *„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლი“..*
[34] *გაეცნოს პროტოკოლი სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართ 2024 წელი პარაგრაფი 26.*
[35] *ინტერნეტ გამოცემა „ნეტგაზეთი“: გდდ ხელმძღვანელის – ზვიად ხარაზიშვილის განცხადება სავარაუდო სიის არსებობის შესახებ, რისი მიხედვითაც ხდებოდა ანგარიშსწორება აქციის მონაწილეებზე. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/724434/ [26.09.2024]*
[36] *საქართველოს უზენაესი სასამართლო, წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასს მე–3 და მე–6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, 2019, ელ. მარინე კვაჭაძე, ხელმისაწვდომია: https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/wamebis-akrzalva-me3-me6-muxlebit.pdf [26.09.2024]*
[37] *Pretty v. the United Kingdom, no. 2346/02, §52, ECHR 2002-III.*

სხვადასხვა გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, პოლიციის მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა ძალადობრივი დარბევის დროს, სულ მცირე, 300 ადამიანი იქნა დაკავებული, ათობით მომიტინგეს სასტიკად სცემეს დაკავებისას და იზოლატორებში გადაყვანის დროს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახალხო დამცველის მონიტორებმა, საკუთარი მანდატის ფარგლებში, რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული აქციების დროს დაკავებული 183 პირი მოინახულეს, მათგან 95 აღნიშნავდა, რომ მათ მიმართ დაკავების პროცესში ან/და იზოლატორში გადაყვანამდე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. გარდა ამისა, დაკავებული პირები უმეტესწილად, ვერ სარგებლობდნენ მინიმალური საპროცესო უფლებებით, სამართალდამცავები არ უმარტავდნენ მათ დაკავების მიზეზს, არ ეძლეოდათ ადვოკატებთან ან/და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის საშუალება, ზოგ შემთხვევაში, მათთვის არ იყო ხელმისაწვდომი დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარება. დაკავებულთა ადგილსამყოფელის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ ინფორმაცია უფლებადამცველებს და ოჯახის წევრებს.

2. საპროტესტო აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლის სტანდარტები

მონიტორინგის ანგარიშებიდან დასტურდება, რომ ერთ–ერთი მთავარი გამოწვევა არის შეკრების მონაწილეთა მიმართ გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების სწორად შერჩევა, რაც შესაძლებელს გახდიდა თანაზომიერი ძალის გამოყენებას, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის შესაბამისად. ამ მხრივ ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემას პირდაპირი და მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა წარმოადგენს. შეკრების მშვიდობიანი ხასიათის განსაზღვრის მიზნით, ფაქტების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, პოლიციის დისკრეციაზეა მინდობილი, რაც პოლიციის პერსპექტივიდან გამომდინარე, არარაციონალურად ზედმეტი პასუხისმგებლობაა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დღეისთვის, გარკვეულ სტანდარტს აყალიბებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“,[41] რომელიც განსაზღვრავს მშვიდობიანი და არამშვიდობიანი შეკრების მონაწილეების გამიჯვნისა და პოლიციის მხრიდან მათდამი ინდივიდუალური მოპყრობის ვალდებულებას, მშვიდობიანი შეკრების შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად.

---

[38] *იხ. სახალხო დამცველის ვებ-გვერდი, სახალხო დამცველის რწმუნებულები აქციაზე დაკავებულ პირებს ხვდებოდნენ, 2024 წლის 15 მაისი. ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-rtsmunebulebi-aktsiaze-dakavebul-pirebs-khvdebodnen [26.09.2024].*

[39] *წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციის განცხადება 2024 წლის აპრილის თვეში მშვიდობიანი აქციის ძალისმიერი დარბევის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.omct.org/en/resources/statements/georgia-stop-police-brutality-and-effectively-investigate-allegations-of-torture [26.09.2024].*

[40] *აქციის მონაწილეებმა აღმოაჩინეს მასრები სავარაუდოდ თურქული წარმოების არალეტალური იარაღის გამოყენების შესახებ: https://x.com/Omega_RF/status/1790728347162456476 [26.09.2024].*

თუმცა 2024 წლის მშვიდობიანი აქციების დაშლის დროს იდენტიფიცირებული უფლებადარღვევები მიუთითებს, რომ ამ ბრძანების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მისი მარეგულირებელი ეფექტი არ არის საკმარისი ამ პრობლემის სრულყოფილად გადასაწყვეტად (მათ შორის, მოქალაქეების მხრიდან ცნობადობის თვალსაზრისითაც). აქედან გამომდინარე, ამ სტანდარტის გაუმჯობესება - შეკრების მშვიდობიანი ხასიათის ფარგლების დადგენა და შეკრების დროს ძალადობის შემთხვევებზე პოლიციის რეაგირების საკითხების კანონით უფრო დეტალური მოწესრიგება - მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, აკრძალულია ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის ჭურვებისა და ხელყუმბარების გამოყენება უშუალოდ სამართალდამრღვევი პირის მიმართ, ან ადამიანების ჯგუფში, ან მათი განმეორებითი გამოყენება გაზგაშვებულ ადგილას, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც განმეორებითი გამოყენება აუცილებელია პირის ან პირთა ჯგუფის ძალადობისგან დასაცავად ან სხვა მძიმე შედეგის თავიდან ასაცილებლად. [42]

30 აპრილის ღამეს სამართალდამცავებმა სპეციალური საშუალებები (წყლის ჭავლი, წიწაკის სპრეი და ცრემლსადენი გაზი) მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ რამდენჯერმე და ერთდროულად გამოიყენეს.

შსს-მ აღნიშნული წესი 1-ელ მაისსაც დაარღვია. ამ დღეს გამართულ აქციაზე, დემონსტრანტთა ძირითადი ნაწილი რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა, ხოლო მცირე ჯგუფი ჩიტაძის ქუჩას იკავებდა. პარლამენტის ეზოში განლაგებულმა სამართალდამცველებმა წყლის ჭავლი, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ცრემლსადენი გაზი და წიწაკის გაზის ჭურვები ერთდროულად და ინსტრუქციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, არაერთგზის გამოიყენეს აქციის იმ მონაწილის მიმართ, რომელიც პარლამენტის ჭიშკრის თავზე ცდილობდა ევროკავშირის დროშის დამაგრებას. ამას წინ უძღოდა აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფის მხრიდან საკანონმდებლო ორგანოს ეზოში სხვადასხვა საგნების სროლა და ჭიშკარზე ზემოქმედებით ხმაურის გამოწვევა.

შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქცია ასევე კრძალავს არალეტალური იარაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენებას ოცი მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ, ასევე - სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში (თავში, კისერში, მუცელში, გენიტალიებში). მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე უარყო რეზინის ტყვიების გამოყენება, საჯაროდ გავრცელებული კადრებით დასტურდება, რომ 1-ელ მაისს აქციის მონაწილეებმა მიიღეს რეზინის ტყვიებისთვის დამახასიათებელი დაზიანებები სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში, მათ შორის - თვალისა და მუცლის არეში. ჩიტაძის ქუჩის სივიწროვე, პარლამენტის ეზოში სამართალდამცველებისა და ქუჩის პერიმეტრზე აქციის მონაწილეთა განლაგება არ იძლეოდა 20-მეტრიანი რადიუსის დაცვის შესაძლებლობას. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას აქციის მონაწილეებისთვის მიყენებული მძიმე დაზიანებები. [44]

---

[42] *საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი „შეკრებებისა და მანიფესტაციების ჯროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 11.07.2021, მუხლი (9)(1)(ბ).*

[43] *„რადიო თავისუფლება“, „შსს: „რა იცით, რომ პოლიციელები ისროდნენ?“ - რეზინის ტყვიები აქციაზე. ოვა ამბავი“, 02.05.2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/7jTCC [26.09.2024].*

[44] *„რადიო თავისუფლება“ „რეზინის ტყვიები მომხვდა, მიტყამდნენ, ვეი ვსუნთქავდი - აქციაზე დარბე- ულების ისტორიები“, 02.05.2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/QPxel [26.09.2024].*

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, წყლის ჭავლი ან ცრემლსადენი გაზი (ცალ-ცალკე) შესაძლოა, გამოყენებულ იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებით შეუძლებელია ძალადობრივი სიტუაციის განმუხტვა და მძიმე შედეგის თავიდან აცილება. [45]

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების შესაბამისად,[46] როდესაც სახეზეა უკანონო, მაგრამ არაძალადობრივი შეკრება, სამართალდამცავებმა თავი უნდა შეიკავონ ძალის გამოყენებისგან, ხოლო როდესაც ეს არაპრაქტიკულია, ასეთი ძალის გამოყენება შეზღუდონ მინიმალურად აუცილებელ დონემდე.[47] ამასთანავე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიჩინოს გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობა[48] თუნდაც უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების მიმართ. ასეთ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით კი, „ცხოვრების ჩვეული რიტმის" დარღვევის ფარგლები. ამ კონტექსტში, საგულისხმოა, 2024 წლის აპრილ–მაისში საქართველოს პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციები რუსული კანონის წინააღმდეგ, რომელთა მონაწილეების წინააღმდეგ, რამდენიმე საათის გასვლის განმავლობაში, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენეს. მართალია, შეკრების მონაწილეთა ზოგიერთი ქცევა ეწინააღმდეგებოდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონს,[49] მაგრამ ზემოთ განხილული სტანდარტის თანახმად, ხსენებული ფაქტი არ გამორიცხავდა აქციის მშვიდობიან ხასიათს, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მონაწილეები არ მიმართავდნენ რაიმე სახის ძალადობრივ ქმედებებს. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის განსახილველად შეკრებილ დეპუტატებს პარლამენტის შენობის დატოვების დროს ექმნებოდათ დისკომფორტი, აღნიშნული პროტესტის თანმდევი დასაშვები მოვლენაა,[50] და გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობას მოითხოვს. თავის მხრივ, თუკი გამოვლინდებოდა საკანონმდებლო ორგანოს შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველყოფის მომეტებული ინტერესი, და ის შეკრებილ პირთა გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესს გადაწონიდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, სამართალდამცავებს წყლის ჭავლთან შედარებით უფრო მსუბუქი ღონისძიებებისთვის მიემართათ, რაც პროპორციულობის მკაცრ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. რაც შეეხება პარლამენტის შენობის შესასვლელების გათავისუფლებას და ამ მიზნით, წიწაკის სპრეის და ცრემლსადენი გაზის გამოყენებას მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა დატოვეს ტერიტორია, ეს არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში", რაც პასუხობს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების" მოთხოვნას, რამდენადაც, მითითებულ პერიოდში (არასამუშაო საათებში) საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელების გათავისუფლების ინტერესი არ არსებობდა. [51]

---

[45] *Amnesty International, „Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials", 2015, p. 42.*

[46] *ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.humanrights.ge/files/ZiriTadi%20principebi%20marTlwesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pir.pdf [26.09.2024].*

[47] *"მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპები", პარ. 13. მიღებულია დანაშაულის აღკვეთის და სამართალდამრღვევების მოპყრობის შესახებ გაერთიანებული ერების მერვე კონგრესის მიერ 1990 წლის 27 აგვისტო – 7 სექტემბერი.*

[48] *იხ. მაგალითად, Oya Ataman v. Turkey, no. 47738/99, 22 May 2007.*

[49] *„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი.*

[50] *„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 პრიმა მუხლი.*

[51] *იხ. მაგალითად, Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], no. 37553/05, ECHR 2015.*

15–17 აპრილი: „არა რუსულ კანონს, კი ევროპას“

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი სხვადასხვა ლოკაციიდან აკვირდებოდა 15, 16 და 17 აპრილს ორგანიზებულ აქციებს -„არა რუსულ კანონს!“ აქციებს სპონტანურად უერთდებოდნენ სხვადასხვა ჯგუფები, სამოქალაქო მოძრაობისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

აქცია დაიწყო ორშაბათს, 15 აპრილს, დილის 10:00 საათიდან, პარლამენტის უკანა შესასვლელთან. აქციის მიზანი იყო პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ინიციირებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაპროტესტება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მისი განხილვის პარალელურად.

2024 წლის 15 აპრილს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის პლენარული სხდომისთვის გადაცემის საკითხს.[52] მომდევნო დღეს, პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე დაიწყო კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა,[53] ხოლო 17 აპრილს მას მხარი 83-მა დეპუტატმა დაუჭირა. საპროტესტო აქციების თითოეულ დღეს განსხვავებული იყო პოლიციელებისა და მონაწილეების რაოდენობა, მათ შორის - დღის სხვადასხვა მონაკვეთებში. კერძოდ, დღის პირველ ნახევარში დაგეგმილი აქციების მსვლელობისას, პარლამენტის უკანა შესასვლელთან შეკრებილი მონაწილეების მაქსიმალური რაოდენობა იყო დაახლოებით, 300 ადამიანი; დროის გარკვეულ მონაკვეთებში ადგილზე მობილიზებულ სამართალდამცავთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა პროტესტის მონაწილეებისას. სამივე დღეს, 19:00 საათისთვის, მკვეთრად იზრდებოდა ხალხის რაოდენობა. მონაწილეთა დიდი ნაწილი იკრიბებოდა პარლამენტის შენობის წინ, რასაც თან სდევდა რუსთაველის გამზირის გადაკეტვა. გარდა ამისა, 16 აპრილს მონაწილეთა ნაწილი შეკრებილი იყო პარლამენტის გვერდითა შესასვლელებთან - ჭიჭინაძისა და 9 აპრილის ქუჩებზე, რომლებიც პოლიციელებმა სრულად გადაკეტეს, 19:30 საათსა და 20:07 საათზე. ადამიანის უფლოებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, 16 აპრილის 21:00 საათისთვის, შსს-ს სპეციალური ქვედანაყოფის თანამშრომლებს, ასევე, გადაკეტილი ჰქონდათ 9 აპრილისა და იგნოროყვას ქუჩები.

ამისგან განსხვავებით, 17 აპრილს, გადაკეტილი იყო მხოლოდ რუსთაველის გამზირი (აქციის მონაწილეების მიერ), ხოლო საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ასევე, ე.წ. დაკავების მინივენები მობილიზებული იყო მხოლოდ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (კანცელარიის) მიმდებარედ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა რამდენიმე მინივენი დააფიქსირეს „გალერია თბილისის“ ავტოსადგომის ტერიტორიაზეც. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა იქვე, მთავრობის კანცელარიასთან, შენიშნეს შსს-ს სპეციალური დანაყოფის თანამშრომელთა მცირე რაოდენობა.

15-17 აპრილის აქციების მსვლელობისას, განსხვავებით 2023 წლის 7-9 მარტის პროტესტებისგან, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პოლიციის პასუხისმგებელი პირები ადგილზე ფასილიტაციას უწევდნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების გადაადგილებას.

---

[52] *საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს მხარი დაუჭირა, 15.04.2024 ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/iuridiul-sakitkhta-komitetma-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-kanonproekts-mkhari-dauchira [26.09.2024].*

[53] *საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა დაიწყო, 16.04.2024 ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentma-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-kanonproektis-pirveli-mosmenit-gankhilva-daitsqo [26.09.2024].*

ამასთან, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რამდენიმე არაიდენტიფიცირებულ პირს ჰქონდა აქციის მონაწილეთა პროვოცირების მცდელობა - მათ შორის, შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით. თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა ისინი განარიდეს ადგილს, რათა აღეკვეთათ ფიზიკური დაპირისპირების რისკი. ასევე, მონიტორებს ხელი არ შეშლიათ საქმიანობის განხორციელებაში.

საპროტესტო აქციის სამივე დღეს, ადამაინის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა პარლამენტისა და კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს წყლის ჭავლის მანქანები, ე. წ. დაკავების მანქანები და გადაიღეს ფოტოები, რომლებზეც შსს-ს თანამშრომლების აღჭურვილობას შორის ნათლად ჩანს არალეტალური იარაღი (რეზინის ტყვიების გამოსაყენებლად). ამასთან, 16 აპრილის ღამეს და 17 აპრილის ღამის 00:30 საათისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, აქციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, პარლამენტის უკანა შესასვლელთან და ზურაბ ჟვანიას ქუჩაზე, შსს-ს სპეციალური დანაყოფის თანამშრომლები არაპროპორციული რაოდენობით იყვნენ მობილიზებულნი. აღსანიშნავია, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პოლიციელთა არაპროპორციულმა და გადაჭარბებულმა ჩარევამ დაძაბულობის შემცირების ნაცვლად, შესაძლოა, პირიქით - შექმნას კონფრონტაციული სიტუაცია და შესაძლო კონფლიქტის დეესკალაციის ნაცვლად, გამოიწვიოს მისი გამძაფრება. [54]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, გამოიკვეთა შეკრების თავისუფლების უხეში დარღვევები: აქცია სამივე დღის განმავლობაში სრულად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მათ შორის - 16 აპრილის 22:00 საათისთვის, როდესაც შსს-ს თანამშრომლებმა პარლამენტის უკანა შესასვლელთან პირველად გამოიყენეს წიწაკის სპრეი მონაწილეთა დასაშლელად და 17 აპრილს 00:40 საათისთვის, სპეციალური საშუალებების მეორედ გამოყენებისას. ამ დროს არ არსებობდა შეკრების დაშლის საფუძველი, მით უფრო - სპეციალური საშუალების გამოყენებით. ამასთან, 16 და 17 აპრილს, შსს-ს თანამშრომლებმა, გაფრთხილების გარეშე, რამდენჯერმე უსაფუძვლოდ გამოიყენეს წიწაკის სპრეი,[55] რაც წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობით და OSCE/ODIHR-ის სტანდარდებით[56] დადგენილი მნიშვნელოვანი მოთხოვნების დარღვევას.

16-17 აპრილის საპროტესტო აქციების დროს 18 ადამიანი დააკავეს.[58] დაკავებულთა შორის პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა მიმართ, პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, განხორციელდა ფიზიკური ძალადობა.[59] ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მონახულებული 16 პირიდან 11 მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის და არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე და ითხოვდნენ რეაგირებას. [60]

სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდებოდა როგორც ჟურნალისტების, ისე აქციის მონაწილეების მიერ გადაღებული კადრები, რომლებიც ასახავს შსს-ს წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტებს.[61] მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასევე სცემეს „ტაბულას“, „პუბლიკისა“ და „აპრილის“ ჟურნალისტებს. [62]

---

[54] *OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Report on Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (May 2011 – June 2012), 9 November 2012, para. 201, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/smw90 [26.09.2024].*

[55] *იხ. ტვ „პირველის“ მიერ გავრცელებული კადრები, რომელიც ასახავს მ. ჰამიშვილის წინააღმდეგ წიწაკის სპრეის გამოყენებას, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/v/neFEg2F5h5PwHheU/?mibextid=WC7FNe [26.09.2024]*

[56] *„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 11.07.2021*

[57] *OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Human Rights Handbook on Policing Assemblies, Warsaw, 2016, გვ. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/m5t9g [26.09.2024].*

[58] *ჩაღიო თავისუფლება, აქციების დროს დაკავებული პირების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JvVmWU [26.09.2024].*

30 აპრილი - 1 მაისი: „კი ევროპას! არა რუსულ კანონს!“

შსს-მ სპეციალური საშუალებები ყველაზე მასშტაბურად 30 აპრილს და 1 მაისს გამოიყენა. 30 აპრილისა და 1 მაისის საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიშის თანახმად,[63] კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვის დასრულებიდან დაახლოებით 45 წუთის შემდეგ, 09:45 საათზე, სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეთა მისამართით სპეციალური ღონისძიებების გამოყენება დაიწყეს. თავდაპირველად, ფიზიკური ძალის გამოყენებით დაატოვებინეს ტერიტორია ჟვანიას ქუჩაზე (პარლამენტის უკანა შესასვლელთან) შეკრებილ მშვიდობიან დემონსტრანტებს. რამდენჯერმე გამოიყენეს წიწაკის სპრეი. ჟვანიას ქუჩაზევე იყო მობილიზებული წყლის ჭავლის მანქანა. პარალელურად, სპეცრაზმის მიერ გადაკეტილი იყო ჩიტაძის ქუჩა.[64]

სპეციალური საშუალების გამოყენებას წინ უძღოდა აქციის ორგანიზატორების მოწოდება აქციის მონაწილეების მიმართ მშვიდობიანი მსვლელობით გადაადგილებულიყვნენ საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან მთავრობის ადმინისტრაციის შენობის მიმართულებით, დეპუტატების პარლამენტიდან გამოსვლის დროს და მთავრობის ადმინისტრაციის შენობის ეზოს გავლით სოლოლაკში მათი მანქანებით სავარაუდო გადაადგილების პარალელურად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეტაპზე დემონსტრანტების გადაადგილება, ძირითადად, იყო ორგანიზებული და არც ერთ შემთხვევაში არ იყო ძალადობრივი. მიუხედავად ამისა, დაიწყო საპოლიციო ძალების მობილიზება ყველა ქუჩაზე, სადაც შეიძლებოდა აქციის მონაწილეებს გაევლოთ, რაც ქმნიდა დაძაბულობას და რიგ შემთხვევაში, ამან ხელი შეუწყო დაპირისპირების ესკალაციას. პოლიციამ გადაკეტა მთავრობის ადმინისტრაციისკენ მიმავალი ყველა გზა, მათ შორის, სავაჭრო ცენტრ „თბილისი გალერიიდან“ უკან გამავალი და მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ გვერდით კიბეებით ამავალი გზები, ასევე - სულხან საბა ორბელიანის და პავლე ინგოროყვას ქუჩები. პოლიციის კოორდინირებული ეს ქმედება მიმართული იყო მხოლოდ იმისაკენ, რომ დეპუტატებს პარლამენტის შენობის დატოვების დროს არ შექმნოდათ დისკომფორტი.

ამავე დროს, თავისუფლების მოედანზე მობილიზებული იყო წყლის ჭავლის მანქანები, სპეციალური დანიშნულების რაზმის გადასაადგილებლად განკუთვნილი რამდენიმე მიკროავტობუსი და სხვა ტიპის შსს-ს ავტოსატრანსპორტო საშუალება. ვითარება აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის საქართველოს პარლამენტის შენობიდან დეპუტატების გაყვანის დროს დაიძაბა, ხოლო შემდეგ, დაახლოებით 23:10 საათისთვის, კიდევ უფრო გამძაფრდა.

---

[59] *ტვ „ფორმულა“: ზურა ჯაფარიძე: ყველა დაკავებული ნაცემია - "დაკავების ღრმოს მოხვდა" არა, ნაცემია, 17.04.2024, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/109494 [26.09.2024].*

[60] *საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 16-17 აპრილის აქციის მონიტორინგის პირველადი შედეგები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Jujw3T [26.09.2024].*

[61] *იხ, აქციის მონაწილე სპეცრაზმელებმა წააქციეს და სცემეს, ტვ ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=970013414795480 [22.04.2024]; იხ. აქციის მონაწილე დაშავდა და იდაყვი აქვს მოტეხილი, პუბლიკა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49SB5W2 [22.04.2024]; იხ. არა ჩუსულ კანონს! — სპეცრაზმი მოქალაქეს უსწორდება, ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1018740922986734 [26.09.2024]; იხ., ასევე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ვიცავთ ყველა დაკავებულის უფლებებს, 17.04.2024, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/qartuli-arasamtavrobo-organizaciebi-vicavt-yvela-dakavebulis-uflebe#sthash.7hN6Fa58.3TZl30y1.dpbs [26.09.2024].*

[62] *სახალხო დამცველის კომენტარი აქციის ღრმოს ჟურნალისტების ცემის და მათ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UqzhPI [26.09.2024].*

[63] *ადამიანის უფლებათა ცენტრის აქციების მონიტორინგის ანგარიშები: 2024 წ. 30 აპრილი - 01 მაისი.*

[64] *ინტერნეტ გამოცემა ინტერპრესნიუსი, აქციის მონაწილეები ჩიტაძის და ჭიჭინაძის ქუჩის მხრიდან პარლამენტის შესასვლელებისკენ მსვლელობით მიემართებიან [30.04.2024]. https://www.interpressnews.ge/ka/article/797575-akciis-monacileebi-chitazis-da-chichinazis-kuchis-mxridan-parlamentis-shesasvlelebisken-msvlelobit-miemartebian/ [17.10.2024].*

დემონსტრანტები საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარედ - ჟვანიას, ჭიჭინაძის, ჩიტაძის ქუჩებზე და რუსთაველის გამზირზე იყვნენ შეკრებილები, ჰქონდათ ტრანსპარანტები, სასტვენები და ხმამაღლა სკანდირებდნენ: „არა რუსულ კანონს!“ დემონსტრანტებს არ ჰქონიათ კანონით აკრძალული საგნები და მათი ქცევა არ გასცდენია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. აქციის მონაწილეები, ძირითადად, ხელებაწეული იდგნენ პოლიციის წინ. იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ისინი პოლიციის მისამართით ისროდნენ წყლით სავსე ბოთლებს, რაც უმეტესწილად, იყო რეაქცია პოლიციის ძალადობრივ ქმედებებზე. [65]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, სამართალდამცველმა ორგანოებმა არაერთგზის დაარღვიეს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი. 30 აპრილის აქციაზე სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო პარლამენტის უკანა შესასვლელთან მშვიდობიანი შეკრების დაშლა ფიზიკური ძალის გამოყენებით, რა დროსაც 300-მდე მონაწილე მშვიდობიანი ფორმით, ტრანსპარანტებით, ხმოვანი საშუალებებისა და შეძახილებით გამოხატავდა პროტესტს. აქციის მშვიდობიანი ხასიათიდან გამომდინარე, დემონსტრანტების მობილიზაცია პარლამენტის უკანა შესასვლელთან ხელს არ უშლიდა დეპუტატებს, დაეტოვებინათ საკანონმდებლო ორგანო. ადგილზე მობილიზებულმა სპეცრაზმის წარმომადგენლებმა მცირე რაოდენობით გაზი გაუშვეს და წყლის ჭავლის მანქანა გამოიყვანეს. მოგვიანებით, შსს-მ ჭიჭინაძის ქუჩაზე, სპეციალური საშუალებები გამოიყენა და რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს დაახლოებით ღამის 00:00 საათზე წყლის ჭავლით, წიწაკის სპრეით და ცრემლსადენი გაზით დაუპირისპირდა.[66]

1-ელ მაისს ჩიტაძის ქუჩაზე სპეციალური ღონისძიებების გამოყენებას წინ უძღოდა აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფის მხრიდან საკანონმდებლო ორგანოს ეზოში სხვადასხვა საგნების სროლა და ჭიშკარზე სხვადასხვა საგნების დარტყმით ხმაურის გამოწვევა. ნაცვლად ლოკალური ღონისძიებების გატარებისა, რაც საზოგადოებრივი წესრიგის შესაძლო დამრღვევთა აქციის მშვიდობიანი მონაწილეებისგან გამოყოფაში უნდა გამოხატულიყო, სამართალდამცავებმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ათასო/ბით მოქალაქის მისამართით სპეციალური საშუალებები გამოიყენეს.

გარდა ამისა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ერთობლივი განცხადების თანახმად, სპეციალური საშუალებების გამოყენებას წინ არ უძღოდა გაფრთხილება.[67] წყლის ჭავლის გამოყენება გაფრთხილების პარალელურად ან გაფრთხილებიდან რამდენიმე წამის ინტერვალით მოხდა.[68] გაფრთხილება არ უძღოდა წინ ცრემლსადენი გაზის კაფსულების გამოყენებას (23:21). შინაგან საქმეთა სამინისტრომ ონლაინ გამოაქვეყნა განცხადება,[69] სადაც შეკრებილებს მოუწოდა, გაეთავისუფლებინათ პარლამენტის შენობის შესასვლელი და გამოსასვლელი სივრცეები, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება გაფრთხილებად, ვინაიდან გაფრთხილების მიზანი, ადრესატამდე ინფორმაციის მიტანა და დაძაბულობის ყველა შესაძლო გზით თავიდან აცილებაა. სპეციალური ღონისძიებების გატარების პარალელურად განცხადების გამოქვეყნება, ამ კანონისმიერ ვალდებულებას ფორმალობად აქცევს, ეს კი შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევაა.[70]

---

[65] *ადამიანის უფლებათა ცენტრის აქციების მონიტორინგის ანგარიშები - დემონსტრაციები ხუსუფი კანონის წინააღმდეგ, 2024 წლის 30 აპრილი - 01 მაისი.*

[66] *ტაბულა, „ra ხდებოდა ხუსთაველზე 1-ელი მაისის ღამეს?“, 01.05.2024. ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/717564-ra-khdeboda-rustavelze-1-eli-maisis-ghames [26.09.2024].*

[67] *ინტერნეტგამოცემა Civil.ge, ახასამთავრობოები: აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული ფიზიკური ძალა წამებას გაუტოლდა, 01.05.2024. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/603209 [26.09.2024].*

[68] *ტელეკომპანია „ფორმული“, სპეცრაზმი ხუსთაველის გამზირს მოქალაქეებისგან წყლის ჭავლის გამოყენებით ათავისუფლებს, 30.04.2024. ხელმისაწვდომია: https://t.ly/0Lbky [26.09.2024].*

[69] *„შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, 30.04.2024. ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16242 [26.09.2024].*

[70] *„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 11.07.2021*

დარღვევაა. რაც შეეხება რეზინის ტყვიების გამოყენებას, სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენელი ჟურნალისტთან საუბრისას საერთოდ უარყოფდა რეზინის ტყვიების გამოყენების ფაქტს,[71] მაგრამ მედიაში გავრცელდა ფოტოები, რითაც ამ სპეციალური საშუალების გამოყენება დასტურდება. [72]

ჟვანიას ქუჩიდან მშვიდობიანი დემონსტრანტების იძულებითი გაყვანისა და სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ, შსს-მ კვლავ გაავრცელა განცხადება და აქციის მონაწილეებს მოუწოდა, არ გასცდენოდნენ შეკრებისა და მანიფესტაციის კანონით დადგენილ ნორმებს. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა რუსთაველის გამზირზე ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის წინააღმდეგ სპეციალური საშუალებები კვლავ გამოიყენეს და აქცია არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაარბიეს. წყლის ჭავლის, ცრემლსადენი გაზის, წიწაკის სპრეის გამოყენების პარალელურად, შსს ხმოვანი სიგნალით მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს, დაეტოვებინათ ტერიტორია. შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, სპეციალური ღონისძიების დაწყებამდე, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთისა) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.[73] შსს-მ ინსტრუქციის ეს წესი, არა მხოლოდ 30 აპრილის ღამით (1-ელ მაისს), არამედ არც ერთხელ არ დაიცვა სპეციალური საშუალებების გამოყენების წინ.

---

[71] ტვ „პირველი“, ხუსთაველის გამზირზე აქციის მონაწილეების მისამართით ხეზინის ტყვიებს ისვრიან, 30.04.2024. ხელმისაწვდომია: https://t.ly/3kSeQ [26.09.2024]; ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, „გირჩი-მეტი თავისუფლების“ წევრის, ცოტნე კობელიძის თქმით, ხეზინის ტყვია მოხვდა, 01.05.2024. ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/u88v34my [26.09.2024].

[72] ხადიო თავისუფლება, ხეზინის ტყვიები აქციაზე. ხვა ამბავი. 02.05.2024 ხელმისაწვდომია: http://surl.li/cgttco [26.09.2024].

[73] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 11.07.2021.

3. სპონტანური შეკრების უფლება და ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის კანონიერება

საერთაშორისო სამართლით, სპონტანური შეკრება აღიარებულია, როგორც მშვიდობიანი შეკრების ერთ–ერთი ფორმა, რაც ნიშნავს ადამიანების შეკრებას ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, კონკრეტულ მოულოდნელ მოვლენასთან დაკავშირებით.[74] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული შეკრების თავისუფლება იცავს როგორც წინასწარ ორგანიზებული, ასევე, სპონტანური შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის შესაძლებლობას.[75] ვინაიდან აქტუალური მოვლენების შესახებ შეხედულებების და მოსაზრებების გამოხატვისას, ხშირად დროულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,[76] დაყოვნებამ შესაძლოა სრულად დაუკარგოს აზრი რეაქციას.[77] სწორედ მსგავსი შესაძლებლობაა სპონტანური შეკრება, რომელიც გარკვეული შემთხვევის/ინციდენტის მყისიერი პასუხია, არ ატარებს წინასწარ დაგეგმილ ხასიათს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არ ჰყავდეს გამოკვეთილი ორგანიზატორი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი გაფრთხილება, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან აქციის მართვისა და მონაწილეთა უსაფრთხოების კონტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. წინასწარი გაფრთხილება გვევლინება ძირითად სამართლებრივ და პრაქტიკულ მექანიზმად, რაც პოლიციას, შეკრების მართვის თვალსაზრისით და პრაქტიკაში ყველაზე ეფექტიანი უფლებადაცვითი თვალსაზრისითაც, ყველაზე გამართლებული, მოლაპარაკებებზე დაფუძნებული მართვის სტრატეგიის (negotiated management strategy) რეალიზაციის შესაძლებლობას აძლევს. მეორე მხრივ, სპონტანური შეკრების დროს, სპეციალური ნორმების არარსებობის პირობებში, პოლიციას უწევს იმოქმედოს ზოგადი წესებით, რომლებიც სპონტანური შეკრების ზუსტ და ადეკვატურ რეგლამენტაციას არ იძლევა.[78]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას, შეკრების ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ, როცა ის ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება, ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.[79] თუმცა, იმ პირობებში, როცა კანონი სპონტანური შეკრების ცნებას არ განმარტავს, არც წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებიდან ადგენს გამონაკლისს, როდესაც დროის სიმცირიდან ან სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მსგავსი პროცედურის დაცვა შეუძლებელია. პრაქტიკული თვალსაზრისით, ამგვარი მოცემულობა ეჭვქვეშ აყენებს სპონტანური შეკრების გამართვის ლეგალურ შესაძლებლობას ტრანსპორტის სავალ ადგილას, ან როდესაც ის ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.

---

[74] *ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/5/d/82979.pdf [17.10.2024].*

[75] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 14.12.2023, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16052. [17.10.2024].*

[76] *2019 წლის 20 ივნისს ე.წ. გავრილოვის ღამე. საქართველოს პარლამენტმა „მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეას“ უმასპინძლა. ხუსეთის დუმის დეპუტატმა – სერგეი გავრილოვმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა, რასაც იმავე დღეს მასობრივი საპროტესტო აქცია მოყვა. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/EpoTS [26.09.2024]*

[77] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და იღია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.*

რუსული კანონის განხილვების პარალელურად, აქციების მონაწილეებმა არაერთხელ გადაკეტეს გზა - როგორც სპონტანურად, ისე ორგანიზებულად. სამართალდამცავთა ქმედება ყველა შემთხვევაში არაერთგვაროვანი იყო, მაგალითად გმირთა მოედნის და ჭავჭავაძის გამზირის გადაკეტვის შემთხვევაში, სამართალდამცავებმა აქტიურად დაიწყეს დემონსტრანტების დაკავება,[80] ხულიგნობისა[81] და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის[82] საფუძვლით. რუსთაველის გამზირის გადაკეტვის და ასევე მოტოციკლეტების მარშის შემთხვევაში, სამართალდამცავებს სპონტანური აქციის მონაწილეები არ გაუფრთხილებიათ, რომ ისინი სჩადიოდნენ სამართალდარღვევას. აქციის დასრულების შემდეგ კი ტელევიზიაში და პოლიციელების მიერ გადაღებული ვიდეომასალების საფუძველზე, მსვლელობაში მონაწილე დემონსტრანტების წინააღმდეგ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. პირველ შემთხვევაში, ფეხით მოსიარულე დემონსტრანტებს მიუვიდათ სასამართლო უწყება, „შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის“[83] შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში - სანომრე ნიშნით იდენტიფიცირებული მოტოციკლეტების მფლობელები 1000 ლარით დააჯარიმეს ასკ 125 (6)1 მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს „ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვას ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობას, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული“.

ამგვარად, ადმინისტრაციული სახდელები შესაძლოა, ხშირად გამოიყენებოდეს, როგორც მოქალაქეებში პროტესტის გამოხატვის სურვილის ჩახშობის ინსტრუმენტი, რაც გარდაუვლად იქონიებს ნეგატიურ გავლენას შეკრების თავისუფლებაზე.[84] მსუსხავი ეფექტი ხშირად გვხვდება პოლიტიკურ შეკრებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, რადგან მათი ჩახშობა, ზოგადად, ხელს უშლის ორგანიზატორებს და მონაწილეებს საპროტესტო აქციების დაგეგმვასა და მონაწილეობაში ანდა ოპოზიციურ პოლიტიკაში აქტიურ ჩართვაში. ამგვარი ზომების სისტემატური გამოყენება მოქალაქეებს აიძულებს, თავი შეიკავონ ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო შეკრებებში მონაწილეობისგან და ზოგადად, ოპოზიციურად განწყობილი შეხედულებების ღიად დაფიქსირებისგან.[85]

---

[78] *საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2020 წელი. მშვიდობიანი შეკრების უფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი) გვ. 36–37.*
[79] *„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, პუნქტი 1, მუხლი 8, ნაწილი 1 და ნაწილი 2.*
[80] *„ფოხმული“: გმირთა მოედანზე პოლიციამ აქციის მონაწილეები ძალის გამოყენებით დააკავა. 14.05.2024 ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/111285 [26.09.2024].*
[81] *„საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“. 166–ე მუხლი*
[82] *იქვე 173–ე მუხლი.*
[83] *„საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“ 1741–ე მუხლი.*
[84] *იხ. მაგალითად, Balçık and Others v. Turkey, no. 25/02, 29 November 2007.*
[85] *იხ. მაგალითად, Nemtsov v. Russia, no. 1774/11, 31 July 2014.*

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის გუნდის მიერ აქციებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მთავარი მიგნებები. კერძოდ, 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის დეკემბრამდე პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 15 აქციას, მათ შორის 8 გაიმართა რუსული კანონის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის მიზნით.

მონიტორინგის ქვეშ არსებული აქციებიდან მხოლოდ რამდენიმესთან მიმართებით გამოვლინდა დადებითი ტენდენცია შეკრების ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან პოლიციის თანამშრომლობის კონტექსტში - რაც ძირითადად მცირემასშტაბიანი აქციების დროს შეინიშნებოდა.

რაც შეეხება რუსული კანონის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებს - ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ხელისუფლების ორგანოებმა არათუ ვერ უზრუნველყვეს მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვა, არამედ პირდაპირ და უხეშად ჩაერივნენ ამ უფლებით დაცულ სფეროში და არაერთ შემთხვევაში გამოიყენეს არაპროპორციული ძალა მშვიდობიანი შეკრების დასაშლელად. 2024 წლის აპრილისა და მაისის თვეებში გამოვლენილ მრავალ სერიოზულ უფლებადარღვევთა შორის იყო:

1. მშვიდობიანი პროტესტის დაშლა არაპროპორციული ძალის გამოყენებით; ლეგიტიმური მიზნის, კანონით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე;
2. მშვიდობიანი შეკრების დაშლისას სპეციალური საშუალებების გამოყენება კანონით განსაზღვრული საფუძვლების გარეშე და ეროვნულ კანონმდებლობაში გაწერილი რეგულაციების დარღვევით;
3. საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ დაკავების პროცესში ანდა წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაყვანამდე განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები;
4. საპროტესტო აქციების მონაწილეთა უკანონო დაკავება, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საპროცესო უფლებების დარღვევა;
5. ადმინისტრაციული დაკავების შემდეგ აქციების მონაწილეთათვის ადმინისტრაციული სახდელების დაკისრება მტკიცებულებათა სათანადოდ გამოკვლევის გარეშე;
6. აქციების ფასილიტაციის პროცესში არაიდენტიფიცირებული პოლიციელების მონაწილეობა და აქციებზე არაპროპორციული რაოდენობით პოლიციელების მობილიზება;
7. აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული უკანონო თვალთვალი, მათ შორის - ფოტო–ვიდეო გადაღება.

ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა ნათლად ადგენს შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს და ასევე - არეგულირებს შსს-ს თანამშრომლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს. თუმცა, თითოეული ის უფლებადარღვევა, რომელიც ამ ანგარიშშია ასახული, პირდაპირ არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციას და ეროვნულ კანონმდებლობას, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს. კერძოდ, რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს, არ არსებობდა არც მათი შეწყვეტის ანდა დაშლის და არც სპეციალური საშუალებების გამოსაყენებლად კანონით განსაზღვრული საფუძვლები. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფო ორგანოები დაემორჩილონ კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე - გამოიძიონ საჯარო მოხელეების ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც შესაძლოა უფლებადარღვევას წარმოადგენდეს.

აქციების მონიტორინგის მიგნებებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებაღა ცენტრმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები სახელმწიფო ორგანოებისადმი:

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- პატივი სცეს შეკრების თავისუფლებას და არ დაუშვას საპროტესტო აქციების დაშლა ლეგიტიმური მიზნისა და კანონით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე;
- არ დაუშვას სპეციალური საშუალებების გამოყენება არაპროპორციულად, კანონის მიერ განსაზღვრული საფუძვლისა და ლეგიტიმური მიზნის გარეშე და დაიცვას სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები;
- აქციის ფასილიტაციის პროცესში ჩართოს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე დანაყოფები და აქციის ფასილიტაციისთვის გადამზადებული კადრები;
- დაემორჩილოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უნივერსალურ აკრძალვას აქციის ფასილიტაციის პროცესში, აქციის მონაწილეთა დაკავებისა და დაკავების შემდგომ პერიოდში;
- აღმოფხვრას აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დაკავების პროცესში და დაკავების შემდგომ;
- არ დაუშვას აქციის მონაწილეთა მიმართ „დევნის ოპერაციები“, მათი ფიზიკური ანგარიშსწორებისა და დათრგუნვის მიზნით, რაც იქონიებს მსუსხავ ეფექტს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე;
- ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დროს რეაგირება მოახდინოს ცალკეულ პრობლემურ შემთხვევებზე და არ დაუშვას აქციის სრულად ძალადობრივად/არაკანონიერად გამოცხადება მისი შემდგომი შეწყვეტის/დაშლის მიზნით;

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს შეკრებების და მანიფესტაციების მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტების სავარაუდო შემთხვევების დროული, სრულყოფილი და ობიექტური
- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებას პერიოდულად, პროაქტიულად მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.